საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №55/18-2

-- (მხარე) 2018 წლის 20 თებერვლის №55 საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 05 აპრილის №55/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მან სამჯერ მიმართა სასამართლოს სარჩელით, თუმცა, სამივე შემთხვევაში, უკანონოდ ეთქვა უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მიუხედავად იმისა, რომ -- აღმოფხვრილი ქონდა ყველა ხარვეზი, ჯერ მოსამართლე -- ხოლო შემდეგ, მოსამართლე -- უგონებდნენ ახალ ახალ მიზეზებს, რათა არ მიეღოთ სარჩელი წარმოებაში.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

2.1. საქმის მასალების გაცნობის შედეგად დადასტურდა, რომ 2017 წლის 20 ივნისს, -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- მოხასუხე, შპს -- წინააღმდეგ, სამსახურში აღდგენის და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

2017 წლის 26 ივნისის განჩინებით მოსამართლე -- უარი უთხრა -- სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სარჩელში არ იყო მითითებული მხარეთა როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული მისამართები, არასწორად იყო მითითებული მოპასუხე (არ იყო გარკვეული უფლებამონაცვლის

საკითხი), სარჩელი არ შეიცავდა მითითებას კონკრეტულ ფაქტებზე და გარემოებებზე, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებდა საკუთარ მოთხოვნებს და არ იყო მითითებული ის თანამდებობა, რომელზე აღდგენასაც ითხოვდა მხარე.

აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა.

2.2. 2017 წლის 11 ივლისს -- ისევ მიმართა სასამართლოს სარჩელით -- საქალაქო სასამართლოს შპს -- წინააღმდეგ, სამსახურში აღდგენის და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

2017 წლის 17 ივლისის განჩინებით მოსამართლე -- ისევ უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სარჩელში არასწორად იყო მითითებული მოპასუხე (არ იყო გარკვეული უფლებამონაცვლის საკითხი), სარჩელი არ შეიცავდა მითითებას კონკრეტულ ფაქტებზე და გარემოებებზე, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებდა საკუთარ მოთხოვნებს და ასევე, არ იყო წარმოდგენილი მითითება ხელფასის ოდენობის შესახებ.

აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა.

2.3. 2017 წლის 28 ივლისს -- კვლავ მიმართა სასამართლოს სარჩელით -- საქალაქო სასამართლოს შპს -- წინააღმდეგ, სამსახურში აღდგენის და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

2017 წლის 02 აგვისტოს განჩინებით მოსამართლე -- უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სარჩელში არასწორად იყო მითითებული მოპასუხე (არ იყო გარკვეული უფლებამონაცვლის საკითხი), სარჩელი არ შეიცავდა მითითებას კონკრეტულ ფაქტებზე და გარემოებებზე, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებდა საკუთარ მოთხოვნებს და ასევე, სასარჩელო მოთხოვნა არ იყო ჩამოყალიბებული გარკვევით და ამომწურავად.

აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 - მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ

საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} - მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ" ქვეპუნქტის მიხედვით, „მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს," თუ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში ჩამოყალიბებული შესაბამისი წინაპირობები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლე -- მიიჩნია, რომ -- სარჩელი (სამივე შემთხვევაში) ვერ პასუხობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში მითითებულ შესაბამის წინაპირობებს. აღსანიშნავია, რომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის შესახებ განჩინებების გასაჩივრება არ მომხდარა საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ არც ერთ შემთხვევაში.

ამდენად, მოსამართლე -- შესაბამისი განჩინებების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სარჩელის განსახილველად მიღების/მიღებაზე უარის თქმის შესახებ საკითხის შეფასება მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. განჩინებების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე 14 წევრიდან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №55-18, მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი